საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლიუციონ. პარტია

მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 25,000 მ. სამკლოვიარო განცხადება 30,000 მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 1000 მან.

პარასკევი, დეკემბრის 9
1921 წ.

# ამხ. მუშებო და წითელ-არმიელებო!

ტფილისის საბჭო თქვენი ძალა-უფლების ორგანოა, ის მშრომელთა კლასის ბატონობის სიმაგრეა! საქართველოში პირველად ტფილისში ამეტყველდება მუშათა კლასი თავისი საკუთარი ენით! იქ არ უნდა გაისმას არც ერთი ხმა მუშათა კლასის და საქართველოს წინააღმდეგ!

მუშებო და წითელ-არმიელებო! უარყავით ყოველი ჯურის კაციჭამია შოვინისტები და აირჩიეთ საქ. მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის კანდიდატები, რომლებიც მედგრად დაიცავენ მშრომელი ხალხის კლასობრივ და ეროვნულ ინტერესებს!

მეუღლე ქრისტინე, შვილები: მაგდალინა, სერგი და ცორო, და ძმისწული პართენი, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, ქრისტეშობისთვის 8-ს, სოფ. ონოღიის ნათლის-მცემლის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის თავის წირვა და პანაშვიდი, მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარის ტრაღიკულად დაღუპულის

სიმონ გოგის ძე ჯიქიას

სულის მოსახსენებლად. 133

## ტფილისის არჩევნები.

ტფილისის საბჭოს არჩევნებმა ქალაქი გამოაცოცხლა. ამოძრავდა მუშათა მასები. ყველამ დაივიწყა დუხჭირი პირობები, აუტანელი გასაჭირი და მთელი ყურადღება არჩევნებზეა გადატანილი. ყველა გრძნობს, რომ მშრომელი ხალხის გამარჯვების გარანტია ძალა-უფლების შენარჩუნებაშია და ეს ძალა-უფლება ხომ საბჭოებში გამოიხატება. ამიტომ ბუნებრივია, რომ პირველი საბჭოს პირველი არჩევნები საქართველოში ასეთ დიდ ინტერესს იწვევს მუშებში. ტფილისის საბჭო პირველი და უმთავრესი სიმაგრე იქნება მუშათა და გლეხთა დიქტატურისა საქართველოში. ამიტომ მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა საქართველოს მომავლისათვის. ყოველივე ამის გათვალისწინება ძნელი არ უნდა ყოს, თუმცა ყველამ მაინც ვერ მოახერხა ეს. ამის თავის საპატიო მიზეზები აქვს, მაგრამ მაინც მოსალოდნელი იყო, რომ პარტიები და ჯგუფები მეტ უნარს, მეტ ინიციატივას და მეტ აქტივობას გამოიჩენდნენ! მაგრამ ასე არ მოხდა. საარჩევნო კამპანიაში ბოლშევიკების გარდა თითქმის ვერც ერთი პარტია, ვერც ერთი ჯგუფი, არ ღებულობს სათანადო მონაწილეობას, ჩვენც პარტიული აპარატის სისუსტისა და უსახსრობის გამო არა გვაქვს საშუალება საჭირო აქტივობა გამოვიჩინოთ. ამიტომაც სრული ბატონ-პატრონი არჩევნებისა ბოლშევიკები არიან. უპარტიოებიც თვით ბოლშევიკებს გაჰყავთ. იმ მეტად უჩვეულო და განსაკუთრებულმა პირობებმა, რომელშიაც ტფილისის არჩევნები ხდება ბევრს მოუსპო საშუალება მონაწილეობის მიღებისა, თუმცა არიან საბჭოთა სისტემის მომხრე ჯგუფები და სურდათ კიდეც, რამდენათაც ვიცით, არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ბოლშევიკებმა გადაამეტეს პარტიული დიქტატურისათვის ბრძოლაში და ისეთი პირობები შექმნეს არჩევნების გარშემო, ისე მოულოდნელად გამოაცხადეს არჩევნები და ისე სასწრაფოდ შეუდგენ არჩევნებს, რომ ზოგიერთებმა საარჩევნო წესების გაცნობაც ვერ მოასწრეს. საარჩევნო მზადებისათვის დრო აღარ იყო. ესაა მიზეზი იმ არა სასურველი ზედმეტი ერთფეროვნებისა, რომელითაც ხასიათდება საბჭოს პირველი არჩევნები ტფილისში. ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოვასწოროთ შემდეგისათვის.

## არჩევნები.

6 დეკემბერს საღამოს 7 საათზე შესდგა სააქადმყოფოების მუშა-მოსამსახურეთა სხდომა საბჭოებში წარმომადგენლების ასარჩევად. მოხსენება გააკეთა ამხ. მამული ამ ახალი ეკონომიური კურსის შესახებ რუსულს ენაზე. მეორე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. შავერდოვმა კაპიტალიზმის კრიზისის შესახებ აგრეთვე რუსულს ენაზე. კრებამ მთით ხოვა რომ მოხსენება-სიტყვები ქართულად ყოფილიყო გადათარგმნილი, რაც სისრულეში იქმნა მოყვანილი.

ამხ. მამულიას მოხსენება იყო შინაარსიანი და მარტივად და გასაგებად დამსწრეთათვის წარმოთქმული. მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ორატორმა ჩაიდინა დიდი შეცდომა, როცა მოხსენება რუსულად გააკეთა! შემდეგ გამოირკვა, რომ ამხ. მამულიას ქართული ენაცა კარგად სცოდნია. საყურადღებოა, რომ წინადადება მოხსენების ქართულად გადათარგმნის შესახებ შეიტანა ვინმე მოსამსახურე რუსის ქალმა, რომელმაც წინადადება დაასაბუთა იმით, რომ დიდ ნაწილს დაბალი მოსამსახურეებისას არ ესმის რუსული ენა. მგონია ასეთი შენიშვნა უცხო ეროვნების ამხანაგისა იყო საკუთრივ აღმნიშვნელი ამხ. მამულიას შეცდომისა.

არჩევნების შესახებ სიტყვა აიღო საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. სარ. პარტიის წევრმა ამხ. ეფრემ ჩახუნაშვილმა. მან ხაზი გაუსვა სოციალისტური დემოკრატიის მეორე მოთხოვნილებას, ეროვნულს საკითხს და სთქვა: სწორედ იმიტომ, რომ ქართველი მშრომელი კლასი დაინტერესებულია ეროვნული სახელმწიფოს არსებობით უფრო მეტად, ვიდრე სხვა სოციალური კატეგორიები, სწორედ იმიტომ, რომ ქართველმა მუშამ იცის მხოლოდ ქართული და მის დამცველადაც უფრო მხურვალედ ის გამოვა, საჭიროა არჩევნებში ქართველი მუშების მონაწილეობის მიღება. ტფილისის საბჭოში მონაწილეობა უნდა მიიღოს ქართველმა მუშებმა არა მარტო კლასობრივი მოსაზრებით, როგორც ისეთს სახელმწიფოებრივ სისტემის შექმნაში, რომელიც მხოლოდ დაიცავს მუშის და გლეხის ეკონომიურს ინტერესებს, მუშათა საბჭოებს ძალუძს ფაქტიურად და არა დეკლარაციებით უზრუნველჰყოს ეროვნული კულტურა და მისი საბურთა. თორემ მე და გამულია, როგორც ხედავთ, რუსული ენითაც იოლად მივდივართ. როდესაც საქართველომ ასიწლის უკან დამოუკიდებლობა დაჰკარგა, თავად-აზნაურობა მას შეურიგდა, ხოლო მშრომელმა საქართველომ ამას აჯანყებით უპასუხა; მოიგონეთ კახეთისა და მთიულების აჯანყებანი და დარწმუნდებით ნათქვამის სინამდვილეში: რომ ქართველი მშრომელი კლასისათვის პირდაპირ სასიცოცხლო საკითხია ეროვნული სახელმწიფოს საკითხი, ამიტომ მემარცხენე სოც.-ფედერალისტები ურჩევთ მშრომელ ტფილისს მიიღოს არჩევნებში მონაწილეობა და მისი პირისუფლობა იკისროს თუ დავადექით ბოიკოტის გზას, მაშინ მივიღებთ უფრო მძაფრ სინამდვილეს, ვიდრე ეს არის დღეს ჩვენს დაწესებულებებში; მუშათა მაგიდის ზოგ. განყოფილებაში, თუ არის ისეთი შემთხვევა, რომ ქართველს მუშას თარჯიმანები საჭიროა თავის ტკივილის გამოსათქმელად, ხვალ ბოიკოტის გზით თუ ვივლით, ეს შეიძლება მასიურ მოვლენად გადაიქცეს და მაშინ პასუხისმგებლობაც ერის წინაშე ჩვენ დაგვაწვება. ამიტომ ჩვენ მოუწოდებთ მშრომელ ხალხს არჩევნებისაკენ.

შეცდომები ბევრი აქვთ ბოლშევიკებს ჩვენ ამას აღვნიშნავთ საბჭოშიაც, რომ ხელი შევუწყოთ აღმშენებლობის გაჯანსაღებას.

დარბაზი ორატორის სიტყვას კმაყოფილებით შეხვდა. ეკბილო შეკითხვანი მენშევიკური ხალხის მიერ სათანადო პასუხი გაცემული იქმნა ამხ. მამულიას მიერ.

არჩეულ იქმნენ ამხ. გ. ნუცუბიძე და თარხანოვისა.

მსმენელი.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ვაშინგტონის კონფერენციის პირველი დღე.

ნოემბრის 12-ს 3 საათ. და 30 წამზე გაიხსნა ვაშინგტონის კონფერენცია. გახსნას დაესწრო ყველა მოპატიჟებულ სახელმწიფოების დელეგატები მთელი შემადგენლობით. მაგიდის ცენტრს იკავებს ამერიკის დელეგაცია იუზის მეთაურობით. მარჯვნივ მოთავსდენ ფრანგები ბრიანის მეთაურობით და იაპონელები ადმირალ კატოს მეთაურობით. ინგლისელებმა და იტალიელებმა დაიკავეს მაგიდის მარცხენა ადგილი. სრულ 10 ს. და 30 წ. შემოდის გარდინგი. კონფერენციის წევრები ფეხზე ადგომით უმართავენ ოვაციებს პრეზიდენტს. სახელმწიფო მდივანი იუზი აძლევს სიტყვას გარდინგს. „კიდევ ტაში და ოვაციები. გარდინგი შემდეგ სიტყვას ამბობს: მე მხურვალედ ვესალმები აქ წარმოდგენილ სახელმწიფოთა დელეგატებს, რომლებმაც მიიღეს ჩემი წინადადება. პრეზიდენტმა აღნიშნა ევროპის დიდი ომის მოქმე მიმოხილვა. მოიხსენია ომში მონაწილეთა პირობები, შემდეგ პრეზიდენტი შეჩერდა კონფერენციის მიზნებზე და ნათლად დასახა ამერიკის პოზიცია კონფერენციაზე. ამერიკას არ ეშინია და არც ეჭვდება ეჭვი არც ერთ სახელმწიფოში. ჩვენ გვინდა მხოლოდ ვისხდეთ ამ მაგიდაზე, რომ ერთმანეთი გავიგოთ. ქვეყანას სურს მშვიდობიანობა, მაგრამ საყოველთაო საერთაშორისო მდგომარეობა გაუმჯობესდება მაშინ, თუ კი ყველა სახელმწიფო და ყველა ხალხი გაიღებს მსხვერპლს. ჩვენ არ გვინდა ვსთქვათ ამით, რომ ხალხმა უარი სთქვას თავის უფლებებზე ან და თავისუფლება შეიკვეცოს. ჩვენ არ გვინდა გვერდი აუხვიოთ ნაციონალურ გრძნობას და მისწრაფებას. არც ერთი ერი არ უნდა დაიჩაგროს. მაგრამ არავითარი იმედები არ ხორციელდება შეუხედველად. ჩვენ ყველამ ერთობლივ უნდა გამოვარკვიოთ და მოვიცილოთ ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიან ინტერნაციონალურ სოლიდარობას. ყველა კეთილ გრძნობას, რომ თავი დავანებოთ დამშრალ სინამდვილეზე და მწარე ფაქტებზე ვილაპარაკოთ იმ შემთხვევაშიც მივალთ იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია შემცირება შეიარაღების, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს ხალხებს. არასოდეს მსოფლიოს არ უგრძვნია ვნებათა სიმძაფრე როგორც დღეს. მაგრამ გზა, რომელითაც ივლის კაცობრიობა, მით უფრო იქნება კეთილშობილი, რაც უფრო იქნება მიღებული მხედველობაში უხიზელი აზროვნება, გრძნობა პასუხის მგებლობისა და სოლიდარობისა. ჩვენ შევიკრიბეთ აქ, რომ ვემსახუროთ კაცობრიობას და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საერთაშორისო მშვიდობიანობის გარანტიებს უზრუნველყოფთ. ჩვენ შევიკრიბეთ იმისთვის, რომ შევუსუბუქოთ ხალხებს შეიარაღების მძიმე ტვირთი და ბოლოს იმიტომ, რომ გამოვნახოთ უფრო სრულყოფილი ფორმები საერთაშორისო სოლიდარობისა, რომლებიც უზრუნველყოფენ მსოფლიოს მშვიდობიანობას, გარდინგი ბრუნდება თავის ადგილზე და ხელს ართმევს ბრიანს. შემდეგ ილაპარაკეს იუზოვმა და ექსპრომტით კონფერენციის მოთხოვნით ბრიანმა. თავის იმპროვიზაცია საფრანგეთის პრემიერმა შემდეგი სიტყვებით დაათავა: თუ კი ხვალვე იქნება უზრუნველყოფილი ჩვენი საგარეო საფრთხე, მთელი საფრანგეთი სიხარულით გაიძახებს: ძირს იარაღი! ოვაციებს უმართავენ ბრიანს. მიდიოდა გარდინგს. ბრიანმა შემდეგი ტელეგრამა გაუგზავნა გარდინგს კონფერენციის გახსნის გამო: საფრანგეთის და ჩემი სახელით გესალმებით თქვენ ვაშინგტონის კონფერენციის გამო, რომელიც მოწვეულია თქვენი ინიციატივით, იმ მიზნით, რომ აცილებულ იქნას ყოველგვარი შესაძლებლობა ხალხთა შორის კონფლიქტისა. თქვენ იცით, როგორის გულწრფელი სურვილით მიიღო თქვენი წინადადება საფრანგეთის მთავრობამ. გულით ვისურვებ, რომ კონფერენციის მუშაობამ შექმნას კაცობრიობისათვის სამართლიანობის, კეთილგანწყობილების და თანხმობის ერა“. ასე ატყუილებენ ერთმანეთს და ქვეყანას ეს მსოფლიო ფარისევლობა.

(„Вечер новости“).

## ახალი ამბები

— ჟურნალი „ლომისი“. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო „ლომისი“ გამოვა თვის დამლევს. სარედაქციო კოლეგიაში შედიან: გალაკტიონ ტაბიძე, კოწია გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, მასალები მიიღება ხელოვნების სასახლეში.

— 4 დეკემბერს ფოთის პორტში დადგა გემი „კვანტიკი“. გემმა ჩამოიტანა 200,000 ფუთი ფქვილი, 30,000 ფ. ჩინური ჩაი. ტვირთი მიმართულია ცენტროკავშირის მისამართზე.

— 8 დეკემბრიდან საფოსტო მატარებელი № № 3—4 ყოველ დღიურად გავა ტფილისიდან ერევანში, დღის 12 საათზე და 40 წუთზე. აწყვილ რიცხვებში ივლის მატარებელი ტფილისიდან კავკავში პირდაპირ.

## უცხოეთი

მოსკოვი, 3 დეკემბ. ბერლინის გაზ. „ტემლიხე რუნდშაუ“ იუწყება იმ დრამა სასოწარკვეთილებაზე, რომელიც გამოწვეულია მემარჯვენე რუს წრეებს შორის რეიხკანცლერის მიერ რუსეთის წარმომადგენლის — კრესტინოვსკის ოფიციალურად მიღების გამო. საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლის ოფიციალურ აღიარების წყალობით, რუსთა წრეები კარგავენ ყოველგვარ იმედს, ბოლშევიკებთან ბრძოლის დროს გერმანიის მიერ აქტიურ მონაწილეობას მიღებაში.

მოსკოვი, 3 დეკემბ. ამ ჟამად გერმანიის საზოგადოებრივი აზრი დიდ ყურადღებას აქცევს გერმანია-ინგლისის ურთიერთობას. დიდ ინტერესს იწვევს, ლონდონიდან სტინესის დაბრუნების შემდეგ, ინგლისის პარლამენტის წევრის ლიბერალ კენვორტის განცხადება გაზეთ „ლოკალ ანცეიგერის“ წარმომადგენელს, რომ გერმანიისა და რუსეთის ვაშინგტონის კონფერენციაზე არ ყოფნის გამო, კონფერენცია ვერ გამოიღებს რაიმე შედეგს. გერმანიამ, კენვორტის სიტყვით, უნდა გადაირჩინოს თავი, თუ გინდ ინგლისის გადარჩენისთვის. ვინაიდან ევროპის ევროპის კატასტროფის შესთხვევაში, გერმანია გამოიჩენს მეტ საწინააღმდეგო დონეს, ვინემ ინგლისი და საფრანგეთი. ევროპის ხსნას კენვორტი ხედავს გერმანიის ინტენსიურ მუშაობაში ინგლისთან, განსაკუთრებით ორივე ქვეყნის შეთანხმებულ მუშაობაში რუსეთთან; ამ შემთხვევაში ინგლისი უნდა გამოვიდეს, როგორც სამუშაოს მომწოდებელი, გერმანია—მოიჯარადრე. რუსეთს ამ ჟამად ჰყავს ის მთავრობა, რომელიც საჭიროა მისთვის. ლენინის დამარცხება რუსეთში მხოლოდ ანარქიას გამოიწვევს, გარდა ამისა, რუსეთსა აქვს უნარი ფასის გადახდის, რუსეთის ხალხი ჭკვიანია, გამტანია, შრომის მოყვარეა, ქვეყანა მდიდარი. უახლოესი ამოცანაა—მოფენა ციმბირის რკინის გზის ქსელით, რაც შეუძლია მოიყვანოს სისრულეში გერმანიის კრუპმა და ინგლისის ვიკკერსმა. ინგლისი განაგებს გემებით, პოლიტიკური უნარით და გულით გერმანია—ორგანიზაციით და ინჟენერებით. გერმანიამ უნდა გადაამუშაოს ინგლისის ნედლი მასალა, ინგლისმა კი უნდა გაყიდოს რუსეთში დამზადებული ნაწარმოები. ამის მაგიერად ინგლისი მიიღებს რუსეთისაგან იაფ ნედლ მასალას, რომელზედაც დამოკიდებულია ევროპის ხსნა. თუ ამ ქვეყნების მთავრობები წინააღმდეგობას გაუწევენ ამ გეგმას, მაშინ კომუნისტები თავის მთავრობის საშუალებით უნდა გაერთიანდნენ შეთანხმებულ მუშაობისათვის. კენვორტიმ ხაზი გაუსვა იმას, რომ საფრანგეთის კომერსანტები თან და თან ერკვევიან, განსაკუთრებით—ანაზღაურების საკითხში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორდო. 6 ნოემ. სოფიიდან იუწყებიან, რომ სამი წლის გაძევების შემდეგ ბოლგარიის სახალხო კრების ნებართვით ბოლგარიაში დაბრუნდნენ მეფის ოჯახის წევრები. პრინცები ქალიშვილები ფერდინანდისა და დები მეფე ბორისისა.

— 4 დეკემბერს ცეცხლმა გაანადგურა სოფიაში სამხედრო არსენალი.

ბორდო 5 ნოემ. ლორდ კერზონს აზრათ აქვს მოიწვიოს კონფერენცია საფრანგეთის, იტალიის და ინგლისის წარმომადგენლებისა ახლო აღმოსავლეთის საკითხის გამოსარკვევად. კონფერენცია შეიკრიბება პარიზში.

ბორდო 5 ნოემ. გენერალ ლემანის მოწოდებამ სომხებისადმი, ისეთი გავლენა მოახდინა, რომ სომხებმა უკუ აგდეს აზრი კილიკიიდან გადასახლებისა და შეუდგენ შეწყვეტილ მუშაობის გაგრძელებას.

ლონდონ. 5 ნოემ. მუსლიმანურ სირიაში გენერალ გუროს ხალხი უცხადებს თავის კმაყოფილებს შესახებ ფრანგ-ოსმალეთის შეთანხმებისა.

ბორდო. 5 ნოემ. ვივიანი ამერიკიდან დაბრუნდება არა ადრე 29 დეკემბრისა, ვინაიდან საფრანგეთის განიარაღების საკითხი ხვალზე უფრო ადრე არ გადასწყდება.

— შეერთებულმა შტატებმა გადასწყვიტა მიანდოს თვით კონფერენციას, რუსეთის და გერმანიის კონფერენციაზე მოწვევის საკითხის გადაწყვეტა.

ბორდო 5 ნოემ. გრაფ ქერლანმა მოახერხა კაბინეტის შედგენა, რომელშიაც უმთავრესად სოციალისტურია.

პარიზი 6 ნოემ. გაზეთი „ტანი" სპეციალურ სტატიას უძღვნის აღმოსავლეთის საკითხს და სხვათა შორის სწერს: ზოგიერთი ინგლისური გაზეთები და მათ რიცხვში „დეილი ტელეგრაფის", ამტყუნებენ საფრანგეთს ოსმალეთისადმი განსაკუთრებულ სიმპატიაში. ისეთი ბრალდება, აღნიშნავს „ტანი", მით უმეტეს არ არის მართალი, რომ ზოგიერთი ინგლისის სახელმწიფო მოღვაწენი აღმოსავლეთის საკითხში იზიარებენ საფრანგეთის პოზიციას.

ბორდო 6 ნოემ. ლონდონიდან მოსული ცნობებით ანგორისა და უკრაინის შორის მოლაპარაკება დამთავრებულია შესახებ დიპლომატიური წარმომადგენლების გაცვლისა.

ბერლინი 6 ნოემ. გერმანიის საკრედიტო კომისიამ აცნობა მთავრობას, რომ თუ ის მოახერხებს სესხის აღებას საზღვარ გარეთ, ის შესძლებს თავის დროზე შეიტანოს მორიგი საკონტრიბუციო გადასახადი მოკავშირეებისთვის.

რომი. 6 დეკემბერი, საგარეო საქმეთა საპარლამენტო კომისიაში მარკიზ დე-ლა-ტორეტამ მოხსენება გააკეთა შესახებ ვაშინგტონის კონფერენციისა. ტორეტა შეეხო მცირე აზიის საკითხების შეთანხმებას და რუს-იტალიის ხელშეკრულებას. ვაშინგტონის კონფერენციის საკითხის შესახებ ტორეტამ აღნიშნა რომ იტალიის დელეგაცია დიდის გულმოდგინებით იცავს იტალიის ინტერესებს, მაგრამ იმავე დროს ის ცდილობს იყოს ობიექტიური საერთაშორისო მნიშვნელობის საქმეების გადაჭრაში.

რომი. 6 დეკემბერი. რომის გაზეთები იუწყებიან კომუნისტ მუშების ხელ ახალ ცდაზე რკინის გზის მიმოსვლის შესაწყვეტად. ეს ცდა უნაყოფოთ დამთავრდა.

რომი. 6 დეკემბერი, იტალიის მთავრობის რადიო იუწყება, რომ სენატორ ხვიდემა მოითხოვა ვაშინგტონის კონფერენციაზე დიდი სახელმწიფოების წარმომადგენლებიდან ფორმალური განცხადება, რომ მათი მთავრობიდან, არ იქნება არავითარი ზომები მიმართული წინააღმდეგ რუსეთის ტერიტორიის ხელშეუხებლობისა.

## საქ. რევკომის საინფორმაციო განყოფილების ცნობები

ახალი საბინაო აპარატის შექმნა. 28 ნოემბერს შესდგა სხდომა ქ. ტფილისის რევკომის პრეზიდიუმისა, რომელსაც დაესწრნენ რევკომის თავმჯდომარე ამხ. გეგეჭკორი, წევრი გოგოტიშვილი, ცეკადან ამხ. ლ. ლომინაძე, განსაკუთრებულ კავკასიის არმიის წარმომადგენელი ფაიხი და სხვა. განხილულ იყო საბინაო განყოფილების გაუქმების და ახალი აპარატის შექმნის საკითხი. სხდომამ მსჯელობის შემდეგ დაადგინა:

1. დაარსდეს სახლების მეურნეობის სექცია შემდეგი მაგიდებით: საალრიცხვო-განმანაწილებელი—საბჭოთა სახლების და საკონტროლო,

2. რაიონულ ქვეგანყოფილებათა ქონება გადაეცეს კომუნალურ განყოფილებას, ბინები დაიბეჭდოს და გადაეცეს ქალაქის რევკომის პრეზიდიუმის განკარგულებაში. საბინაო ქვეგანყოფილების შენობა განთავისუფლებული იქნეს კომუნალური განყოფილებისათვის. სახლების სამეურნეო სექცია კი მოთავსდეს სამ ოთახში ქალ. რევკომის შენობაში. ყველა განთავისუფლებულ შენობებს საბჭოთა დაწესებულებათა შემაჭიდროებელი ხუთეული აბარებს სამეურნეო სექციას კომუნალურ განყოფილების საშუალებით.

3. ქალაქის განმტვირთავი კომისია წინდაწინვე აწვდის ცნობებს სახლების სამეურნეო სექციას გადასახლებულ პირთა შესახებ.

4. სახლების სამეურნეო სექცია იმ ცნობების დასამტკიცებლად, რომელიც მათ აქვს ახდენს ოთახების აღწერას სახლის კომიტეტების, სახლის მეპატრონეთა და გამგეთა საშუალებით.

5. მიეცეს წინადადება ქალაქის სტატისტიკურ განყოფილებას შეუდგეს ქალაქის მცხოვრებთა აღწერას, რომელიც უნდა დასრულდეს მომავალი წლის პირველ იანვრამდე.

6. სახლების სამეურნეო სექცია არავითარი განცხადებას კერძო პირთა ჩასახლება-გადმოსახლების შესახებ არ იღებს და ისახავს მიზნად მიაწოდოს ოთახები მუშებს და საბჭოთა და სამხედრო დაწესებულებათა მოსამსახურეებს.

7. იმ პირთ, რომელთაც ეხლა უკირავთ ბინები—ეკრძალებათ ამ ბინების გადაცვლა.

8. პროფკავშირთა წევრი ბინის მოთხოვნილებით მიმართავენ სახლების სამეურნეო სექციას სათანადო პროფკავშირთა შრომის დაცვის განყოფილების საშუალებით.

9. მივლინებაში ჩამოსულ სამხედრო პირთათვის შეიქმნეს განსაკუთრებული ოთახების ფონდი სასტუმროებში.

10. აიკრძალოს ბინიდან გამოსახლება გარეშე კომუნალური განყოფილების კოლეგიის დადგენილებისა.

11. სავეჯო სექცია გადაეცეს მომარაგების ქვეგანყოფილების საწარმოო სექციას. სახლების სამეურნეო სექციის გამგეთ დაინიშნა ამხ. ტაროშელიძე.

ხონის რაიონის რევკომის მოღვაწეობა. ხონის რაიონის მმართველობის განყოფილება შემდეგ ცნობებს გვაძლევს:

1. მცხოვრებთა სასურსათო მდგომარეობა არა დამაკმაყოფილებელია.

2. მოსავალი რაიონში საშუალოზე ნაკლებია.

3. სიმინდის მოუსავლობის გამო ხალხის სულიერი განწყობილება დაცემულია.

4. მცხოვრებთა დამოკიდებულება არსებულ მთავრობასთან კარგია და იმედით შეჰყურებს მას.

5. ცენტრალური ორგანოების აპარატის მუშაობა არ ეთანხმება ადგილობრივ საქმის მდგომარეობას ზოგიერთ შემთხვევებში: მაგ. მიწის და ტყეების საკითხი. ადგილობრივი ორგანოები მიმართავენ ცენტრს, უკანასკნელი თვით არ იძლევა ინსტრუქციას და უთითებს მოქმედებას ადგილობრივ პირობების მიხედვით. როცა ადგილობრივი ორგანოები რაიმე წესს შეიმუშავებენ და შეუდგებიან მის განხორციელებას, ვინმე უკმაყოფილო კონტრ-რევოლიუციონერი ან მემამულე გარბის ცენტრალურ ორგანოსთან, საიდანაც გამოუძიებლად ადგილობრივ მდგომარეობისა მოდის წინა ნამუშევარის დამარღვეველი განკარგულება, რითაც ადგილობრივი ორგანოების ავტორიტეტი ეცემა ხალხში და ძლიერდება კონტრ-რევოლიუციონური მოქმედება.

6. მიწის კომიტეტის მუშაობა დამაკმაყოფილებელია უმრავლესი მცხოვრებთათვის ადგილობრივი პირობების მიხედვით.

7. ღარიბი და საშუალო გლეხები კმაყოფილია კომიტეტის მუშაობის, სადაც ის სდგას თავის დონეზე. თუმცა ალა არის ამათში გამონაკლისი.

8. სწავლა-განათლების საქმე არ არის სასურველად მოწყობილი უსახსრობის და მოსამსახურეების დაუკმაყოფილებლობის გამო.

9. გლეხთა ჩივრები ურთიერთ შორის იშვიათი მოვლენაა.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატში. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილების თანახმად, საავადმყოფოში ექიმობისათვის როგორც ცენტრში ისე პროვინციებში შეძლებულებს გადახდებათ დღიურად 30,000 მანეთი.

ექიმ გულისაშვილს მიეცა იჯარით ბორჯომ-აბასთუმნის რაიონში ადგილები კურორტების ბოსტნეულის საგნების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც ჯანმრთელობის კომისარიატმა დაუმტკიცა ექიმ გულისაშვილს 60 000 000 მანეთის ასიგნობა ცოცხალი ინვენტარის შესაძენად.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატში. მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილების თანახმად წვიმა და სეტყვისაგან დაზარალებულ ახალციხის მაზრის სოფლებს, ცნობილ იქმნა დახმარების აღმოჩენა კომისარიატის მხრივ სათესლე მასალით.

შრომის სახალხო კომისარიატში. საბჭოთა, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა სამსახურიდან სტუდენტთა განთავისუფლება, ვისაც კი სწავლის განგრძობის გამო სურს სამსახურს თავი დაანებოს, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი წლოვანობით არ აღემატებიან 26 წელს.

## საქ. ცენტრ. კოოპერატიული კავშირის რწმუნებულთა მე—2-ე ყრილობა.

### მე-3 მე სხდომა.

სხდომის გახსნისას სავაჭრო განყ. მოქმედების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. წულუკიძე. მომხსენებელი იხილავს მოკლედ განყოფილების მუშაობას და ამბობს: განყოფ. უხდებოდა მოქმედება ისეთ პირობებში, როცა ერთის მხრივ მას არ ქონდა საკმაო საბრუნავი თანხა და მეორეს მხრივ ეს თანხაც განიცდიდა, უცხო ვალიუტის მიხედვით, თითქმის ყოველდღიურ დაცემას. ასეთ პირობებში, ამბობს ორატორი, ჩვენს წინაშე დაისახა სამი გზა, რომელთაგან ერთის არჩევა გამოიყვანდა ჩვენს განყოფ. არსებულ მდგომარეობიდან. ესენი იყო: 1. გზა ბონების გადახურდავებისა, 2. გზა ფაბრიკა-ქარხნების შეძენისა და მისი ჩქარი ტრიალი და მესამე, გზა სავალიუტო საქონლის შეძენისა. ამათგან განყ. დაადგა მესამე გზას და დაიწყო აქედან ორი სახის საქონლის შეძენა: ბეწვეულობა და ჯაგარი უკანასკნელმა კარგი ნაყოფი გამოიღო. მაგ. პირველ გატანისთანავე უცხო ბაზარზე ჩვენ ყოველ ყუთში ავიღეთ 3 სტერლინგი ავანსათ რამაც მოგვცა საშუალება მუშაობის განაყოფიერებისა. მაგრამ მოხდა ბათომის დაცარიელება. ეს—კი ძლიერ ემუქრებოდა ჩვენს დარგს, მაშინ ჩვენ შევეცადეთ, ამბობს მომხსენებელი, გემის შეძენას, რომელიც დიდი ბრძოლისა და ენერგიის დახარჯვის შემდეგ შევიძინეთ და ავამუშავეთ კიდეც.

შემდეგ განაგრძობს მომხსენებელი და ამბობს: ჩვენ კერძო კაპიტალისტთა ხელიდან განსათავისუფლებლად და ევროპის კოოპერაციისთან უშუალო კავშირის დასაჭერად, დავაარსეთ წარმომადგენლობა ბერლინსა და ლონდონში. აგრედვე განსაკუთრებული ყურადღება მივაპყარით ჩვენ სოფლის წარმოებას და მოვინდომეთ სოფლის ნაწარმოების ადგილობრივ დამუშავება, მაგრამ კიდევ უსახსრობის გამო იძულებული შევიქენით დროებით თავი დაგვენებებინა. ბოლოს მომხსენებელი გამოსთქვამს იმედს. მომავალში, სათანადო წყაროთა გამონახვით, ძველ და ახლად დაწყებულ საქმის დაბოლოვებისათვის.

ამხ. წულუკიძის მოხსენების შემდეგ, მოხსენების გამნაწილებელ განყ. დავალებით, აკეთებს ამხ. წერეთელი. მომხსენებელი უმთავრესად მიუთითებს ყრილობას განაწილება შეფასების სისტემაზე, აღნიშნავს ზოგიერთ დეფექტებს და ამბობს: უმთავრესად მიზეზი ხანდახან წესის დარღვევისა იყო ფულის საჭიროება. მაგ. ამბობს მომხსენებელი, თუ ჩვენ უნდა დაგვერიგებინა საქონელი რაიონებისათვის წევრთა რაოდენობის მიხედვით ხანდისხან ვაძლევდით საქონელს იმის და მიხედვით, თუ რამდენ ფულს წარმოადგენდა წილებისას.

შემდეგ ორატორი ეხება დაფასების, სისტემას და ამბობს, რომ ჩვენ შემდეგ ბული გვაქვს საქონლის საშუალო ბაზრის ფასების მიხედვით დაფასების სისტემა. ამის მიხედვით ჩვენ გვიხდებოდა ფასის ხან აწევა ხან დაწევა. ერთის სიტყვით, ამბობს მომხსენებელი, თუმცა ჩადენილ იყო ზოგიერთი დეფექტები, გამოწვეულნი დღევანდელ კრიზისით, მაგრამ მუშაობა სწარმოებდა შეძლების და მიხედვით.

ამხ. წერეთლის შემდეგ მოხსენებას აკეთებს საწარმოო განყ. წარმომადგენელი ამხ. შ. რამიშვილი. მომხსენებელი თავდაპირველად იხილავს იმ პირობებს, რომელშიაც მათ მოუხდათ მუშაობის განახლება და ამბობს: ჩვენი ორგანიზ. დეკრეტით აღიარებულია დამოუკიდებელ ორგან. მაგრამ ფაქტიურად დამოუკიდებელი არ არის. ეს გარემოება ხელს უშლის ჩვენ ორგანიზაციის ვითარებას, რადგან მთავრობის ნატურალური დაკმაყოფილების წესით ჩვენი ორგანიზ. იძულებულია გასცეს ნაწარმოები უფასოდ, რომელ-აც მოაქვს დეფიციტი, მაგრამ დასაფარავი საშუალება-კი არსად არის. შემდეგ მომხსენებელი ეხება წამოწყებათ და ამბობს: ჩვენ გვაქვს 5 საკუთარი წამოწყება. ესენი არიან: საპნის, ძეხვის და კონსერვის ქარხანა, მექანიკური სახელოსნოები და სტამბა. აგრეთვე გვქონდა შუშის ქარხანა, ამბობს მომხსენებელი, რომელიც მთავრობამ ჩამოგვართვა. შემდეგ მომხსენებელი ეხება გემის და საქსოვ ქარხნის შეძენას, განსაკუთრებით ჩერდება ქარხნის შეძენის საკითხზე და ამბობს: ეს ქარხანა გადმოვიტანეთ საქართველოს მთავრობის დახმარებით რუსეთიდან. აქამდე მისი ცნობით ერთი ნაწილი მოსულა და მეორეს ახლო ხანში მიიღებენ. ქარხანა მომხსენებლის გადმოცემით, ყოფილა უკანასკნელი სისტემის ქარხანა, რომელიც პოლონეთს და რუსეთში ითვლებოდა მესამე ქარხნად. ის ამზადებს შალეულობას ყველა სახისას და შეინახავს მთელ საქართველოს მისი ჯარით და მოქალაქეებით.

შემდეგ მომხსენებელი აცნობს ყრილობას მომავალ მუშაობის გეგმას და მისთვის გადადებულ ხარჯებს და მიუთითებს ახალ წამოწყებებზე, როგორც არიან ზუგდიდის და ოზურგეთის კრამიტის ქარხანა, სამტრედიის ელექტ. წისქვილი, სატყეო კონცესია დადებულ მთავრობასთან და მრავალი სხვა, და მოითხოვს მათთვის განსაკუთრებულ წყაროთა შექმნას.

შემდეგი სიტყვა ეძლევა არა სავაჭრო დარგის მომხსენებელს ამხ. ცაგარელს. მომხსენებელი იწყებს სიტყვას კოოპერაციის მიზნის განმარტებით და შემდეგ იხილავს თავის განყოფ. სექციების მუშაობას. მომხსენებელი დიდხანს ჩერდება მუშათა კოოპერაციის მნიშვნელობაზე და გამოთქვამს აზრს მათი სამომხმარებლო კოოპერაციასთან გაერთიანების შესახებ.

შემდეგ მომხსენებელი აჩერებს ყრილობის ყურადღებას სასოფლო კოოპერაციის შექმნაზედ და კერძო კაპიტალისტების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაზე და ამბობს, რომ მიუხედავათ ბუნებრივ საფუძვლებისა, რომელიც ჩვენში აქვს სასოფლო კოოპერაციას, ჩვენ ვერ შევძელით მისი სათანადო დონეზე დაყენება. მომხსენებელი ეხება თვით სავაჭრო განყოფილებას და მოითხოვს მეტი ყურადღების მისთვის მიპყრობას, თუმცა მასში ჩადებული თანხა არ იძლევა მოგებას ფულად, მაგრამ ის იძლევა მოგებას ჩვენში კოოპერატიულ მიზნის დამკვიდრების თვალთსაზრისით.

შემდეგ უკანასკნელ მოხსენებას აკეთებს ბიუროს წარმომადგენელი ამხ. ს. მაჭავარიანი, რომელიც აღნიშნავს ბიუროს როლს ცეკავშირის მოქმედებაში და ამბობს: ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით მთავრობის პოლიტიკას ჩვენ სასარგებლოდ მიმართვისა და ამისათვის გვიხდებოდა დიდი ბრძოლის წარმოება. მაგალითად, აღნიშნავს ერთობის და კოოპერაციის გადამტერებას და მის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას. შემდეგ აღნიშნავს მათ როლს ბათომის საწყობის მოწყობაში. გადატრიალების დროს კოოპერაციის დაზარალების ანაზღაურებაში, კოოპერატორთა წინააღმდეგ დევნის შეჩერებაში და მრავალ სხვათ. უკანასკნელად მომხსენებელი ეხება საქართველოს კოოპერაციის და რუსეთის ცენტ. კოოპერატივთა კავშირის ქიშპობას და მოითხოვს ამისკენ სათანადო ყურადღების მიპყრობას, როგორც ჩვენ კოოპერაციისათვის მავნებელ მოვლენისათვის.

მოხსენებათა დამთავრების და შეკითხვების დაკმაყოფილების შემდეგ, ყრილობა სდებს კამათს შემდეგ დღისათვის.

ცეკავშირის რწმუნებულთა მე-2-რე წლიურ ყრილობისაგან, საქართველოს რევკომს გადაეზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„სრულიად საქართველოს კოოპერატივების რწმუნებულთა ყრილობამ მოისმინა რა რევკომის თავმჯდომარის და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მისალმება, რომლის დროსაც აღთქმული იყო კოოპერაციისადმი ყოველ-მხრივი დახმარება—მადლობას უთვლის მათ და იმედს გამოსთქვამს, რომ კოოპერაციის გასაძლიერებლად განზრახული ღონისძიებანი ცხოვრებაში სავსებით იქნება გატარებული, ქართველ ხალხის ინტერესების და თავისუფალ კოოპერატიულ შემოქმედების საკეთილდღეოთ.

ყრილობის პრეზიდიუმი.

## ანტანტის კაპიტალიზმის აღსასრული

(დასასრული).

დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური სახელმწიფოები გამუდმებულ კრიზისს განიცდის. ფაბრიკა-ქარხნების მუშაობის შეჩერება, წარმოების დაცემა, უმუშევართა რიცხვის განუწყვეტელი ზრდა —აი ფაქტი, რომელიც არსებობს ბურჟუაზიის სამყაროში და რომლის წინაშე კრთის გაბატონებული კლასები, სახელმწიფოს მართველი წრეები.

იმპერიალისტურ პოლიტიკით გამოწვეულ მსოფლიო ომმა, ბურჟუაზიული სამყარო ჯადოსნურ წრეში მოაქცია. მან ვერ გაამართლა კაპიტალისტების იმედების მინიმუმი, ვერ გაუხსნა ბურჟუაზიას ახალი გზები ახალი საექსპლოატაციო ქვეყნებისაკენ მიმართული. ომის განმავლობაში კაპიტალისტურ წარმოების სისტემას კიდევ ჰქონდა საშუალება კრიზისის აცილებისა, რადგან გიგანტიური ომი მოითხოვდა აუარებელ სამხედრო მასალებს, სამხედრო „კულტურას". მანუფაქტურამ ადგილი დაუთმო ყუმბარა—ზარბაზნების დასამზადებელ ქარხნებს, კულტურულ მოთხოვნილების საგნებმა—ტყვიისმფრქვეველების და მხრჩოლავ გაზების წარმოებას. ასე, რომ ომის პროცესში ბურჟუაზია არ გრძნობდა თავს შევიწროებულად და არც მისი კაპიტალს აკლდებოდა რა. მაგრამ სულ სხვა სახე მიიღო ომის დასრულების შემდეგ ბურჟუაზიულ მსოფლიომ, რომელიც მოულოდნელ და მეტად არასასიამოვნო შედეგების წინაშე წარსდგა, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში.

კაპიტალიზმმა ვერ გამონახა ახალი ბაზრები და ვერ დაიპყრო ახალი ქვეყნები. ბურჟუაზიის ბატონობა ისევ ძველ ფარგლებში მოექცა, მისი კოსმოპოლიტური ულისკვეთება მაქსიმუმამდე შეიზღუდა. ბურჟუაზიამ და მისმა მთავრობამ ომის გაჩაღებით მხოლოდ ერთ მიზანს „მიაღწია", სახელდობრ—შრომის არმიის ძალების რიცხობრივად შემცირებას. ერთი ქვეყნის მშრომელი ხალხი, ბურჟუაზიის მიერ გაბრიყვებული, დაესია მეორე ქვეყნის მოძმე ხალხს, რომელსაც შედეგად მუშათა აუარებელი მსხვერპლი მოყვა. ევროპიულ ომში მარტო ინგლისმა დაკარგა 930,000 კაცი (რა თქმა უნდა—სოფლის მუშები და ქალაქის პროლეტარები). საფრანგეთმა—1,385,000, გერმანიამ 2,140,000, იტალიამ—468,000 და ასე სხვა სახელმ-

---

დეკემბრის შვიდს, დილის ოთხ საათზე ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი ...

**გიორგი მამრაძე**

რასაც მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას განსვენებულის. ახლო მეგობრები. დაკრძალვა მოხდება, დღეს ვერის სასაფლაოზე გამოსვენება დილის 10 საათზე საკუთარ ბინიდან. (ვერის დაღმართი, № 5.)

---

გულმოკლული მშობლები გრიგოლ და ბარბარე, ძმა პეტრე, მარიამ და რძალი ნინო მამრაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

**გიორგი მამრაძე**

გასვენება ბინიდან (ვერის დაღმართი, № 5) დანიშნულია პარასკევს დეკემბრის 9—ს. დილის 10 საათზე; დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე.

---

დამწუხრებულნი: მოხუცი მამა გრიგოლი და მშობელი დედა ბარბარე, და მარიამი, ძმა პეტრე და რძალი მამრაძენი აცნობებენ ნათესავებს და მეგობრებს

**გიორგი გრიგორის ძე მამრაძის**

გარდაცვალებას—6 ს, დილის 5-ს საათზე და დასაფლავებას 9 ს. გამოსვენებას 9-ს დილის 9 ნახ. საათზე საკუთარ ბინიდან, ვერის დაღმართი № 5 და დაასაფლავებენ წირვის შემდეგ ვერის სასაფლაოზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფოებმა. კერძოთ რუსეთის მშრომელ ხალხს მოაკლდა 2,500,000 კაცზე მეტი, რომელსაც დიდი როლის თამაში შეეძლო თანამედროვე რევოლუციაში კონტრ-რევოლუციასთან ბრძოლის და ეკონომიურ ფრონტზე მუშაობის დროს. მუშების სისხლით მორწყო ბურჟუაზიამ ევროპის კონტინენტი, მაგრამ დღეს იგი ამ სისხლის ნაკადულში იხრჩობა კიდეც..

რა მდგომარეობაშია ანტანტის კაპიტალიზმი? როგორ პირობებში უხდება არსებობა ანტანტის მეთაურს—ინგლისის ბურჟუაზიას?

როგორც ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, ისე ინგლისსაც,—კერძოთ,—კოლონიალი ქვეყნების ხარჯზე უხდება ცხოვრება. აზიის მდიდარი ქვეყნები წარმოადგენს ბრიტანეთის ექსპლოატაციის, ყვლეფის საგანს.

როგორც ვიცით, ინგლისის უდიდესი და ყველაზე მნიშვნელოვანი კოლონია ინდოეთია, სადაც სცხოვრობს ოთხას მილიონზე მეტი ხალხი და რომელზედაც განუსაზღვრელად ბატონობს ინგლისის ბურჟუაზია, ინგლისის კაპიტალისტური რეჟიმი. მცირე ერების დაპყრობა და მისი სიმდიდრის ამოწუწვნა ფინანსიური კაპიტალის უმდრესად განვითარების უშუალო შედეგია—ასეთ მოვლენას ჰქონდა ადგილი ოცი წლის წინეთ ინდოეთში, როდესაც იქ ეროვნული მრეწველობას არ ჰქონდა ფეხი მომაგრებული. ბუარეველი ინდუსტრიალი ნაწარმოები გაჰქონდა ინდოეთში ინგლისს, და ამით კაპიტალიზმს ეძლეოდა ფართო ასპარეზი შემდეგი განვითარებისათვის. XX ს. დასაწყისიდან უკვე სხვა სახეს და მიმართულებას დებულობს კოლონიებში ინგლისის კაპიტალი: ყველგან, სადაც კი შეიჭრა იგი, აღორძინდა მსხვილი წარმოების და კოლონიის ეკონომიური ევოლუცია ჩასვა ეროვნულ ჩარჩოებში, ე. ი. ხელი შეუწყო ადგილობრივ კაპიტალის გაძლიერებას, ეროვნულ წარმოებას. თუ წინეთ ინდოეთი ერთიანად დამოკიდებული იყო ევროპის ინდუსტრიალი ნაწარმოებისაგან, ახლა იგი უკვე ადგას საკუთარ ეკონომიკის ლიანდაგს და არ საჭიროებს ევროპის კაპიტალის დაბანდებას. პირიქით, ინდოეთი თვითონ ეძებს ბაზრებს, იგი „იმპერიალისტური" ქვეყნად ხდება. აი სტატისტიკური ცნობა, რომელიც ნათლად არკვევს სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების ევოლუციას. საკითხი ეხება ხორბლის და ბრინჯის მოყვანას. *)

| წ.წ. | ხორბალი: სთესი არე მილ. დ. | ხორბალი: მოსავალი მილ. ფ. | ბრინჯი: მოსავალი მილ. ფუთი. |
|---|---|---|---|
| 1900 | 7,6 | 476,8 | 1336,1 |
| 1905 | 8,4 | 458,5 | 1256,1 |
| 1910 | 9,6 | 470,4 | 1727,1 |
| 1911 | 11,0 | 617,2 | 1717,4 |
| 1912 | 11,5 | 615,1 | 1712,0 |
| 1913 | 10,9 | 604,6 | ? |

ასეთივე მოვლენას აქვს ადგილი კულტურულ სამრეწველო მცენარეულობის განვითარების დარგში; დამზადებულ იქმნა:

| | კანაფი მილ. ფ. | ბამბა მილ. ფ. | შაქრის ლერწ. მილ. ფუთი. |
|---|---|---|---|
| 1909 წ. | 17,9 | 40,9 | 144 |
| 1910 „ | 34,5 | 42,6 | 129,9 |
| 1911 „ | 34,9 | 36,4 | 135,5 |
| 1912 „ | 39,7 | 51,6 | 146,0 |
| 1913 „ | 33,4 | 57,6 | ? |

დიდი წარმატებაა საქონლის მოშენებაშიაც, ინდოეთში ირიცხებოდა (მილიონობით;

| წ.წ. | ცხენი | ძროხა | ხარი | თხა | კამეჩი |
|---|---|---|---|---|---|
| 1900 | 1,8 | 21,8 | 29,2 | 19,5 | 41,1 |
| 1905 | 1,3 | 21,7 | 29,9 | 24,8 | 30,6 |
| 1910 | 1,6 | 31,5 | 40,5 | 30,6 | 47,2 |

შეიძლება კიდევ ცნობების მოყვანა მეურნეობის სხვა და სხვა დარგებიდანაც, მხოლოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველ სფეროში ანალოგიურ მოვლენას აქვს ადგილი.

სასოფლო მეურნეობის განვითარების პარალელად ვითარდება აგრეთვე ინდუსტრია. მაგ. 1894—95 წ. ინდოეთში ითვლებოდა 144 ქარხანა 139,578 მუშით, 1910—11 წ. კი—226 ქარხანა 214,149 მუშით. ავიღოთ სამთო-მადნო წარმოება. მანგანუმის მადანი გაუტანიათ ინდოეთიდან უცხოეთში:

1904 წელს—9,6 მილ. ფუთი, 1912 წ.—38,5 მილ. ფუთი. ექსპორტის განვითარება 1905 წ. შედარებით შემდეგ პროცენტებში გამოიხატება: **)

| | | |
|---|---|---|
| 1905 წ. | + | 82,29 |
| 1906 „ | „ | 100,44 |
| 1907 „ | „ | 314,31 |
| 1908 „ | „ | 227,75 |
| 1909 „ | „ | 201,70 |
| 1910 „ | „ | 279,21 |
| 1911 „ | „ | 257,46 |
| 1912 „ | „ | 301,48 |
| 1913 „ | „ | 398,67 |

*) ინდოეთის მეურნეობის განვითარების შესახებ მასალები ამოღებულია ამხ. თედო ღლონტის წიგნიდან: Азиатская политика большевиков, 75—90.

**) „Статистика марганцевого деле".

სოფლის მეურნეობის და მრეწველობის აყვავებით ინდოეთი შესაფერ ადგილს იჭერს საგარეო ვაჭრობაშიაც. იგი ახდენს დიდ სავაჭრო ოპერაციებს, როგორც აზიაში, ისე ევროპაში ინდოეთის ეროვნული კაპიტალი სტოვებს თავის საზღვრებს და იჭრება სხვა და სხვა სახელმწიფოებში. 60 წლებიდან დაწყებული ეკონომიური რენესანსი გვიჩვენებს, რომ ინდოეთს ნაწარმოების უფრო მეტი ნაწილი გააქვს საზღვარგარეთ და შემოაქვს ნაკლი. ინდოეთიდან გაზიდულ და ინდოეთში შემოზიდულ საქონელთა ღირებულების რაოდენობის შესახებ სტატისტიკა შემდეგს გვეუბნება:

| | იმპორტი, მილ. რუპი. | ექსპორტი. მილ. რუპი. |
|---|---|---|
| 1860 წ. | 465,6 | 552,4 |
| 1875 „ | 531,6 | 694,3 |
| 1889 „ | 875,6 | 1,112,9 |
| 1896 „ | 993,8 | 1,211,9 |
| 1912 „ | 1975,6 | 2,382,7 |

ახლა ჩვენთვის ცხადია. თუ რას უნდა წარმოადგენდეს ევროპის კაპიტალისათვის უკვე გაევროპიელების გზაზე დამდგარი ვეებერთელა ინდოეთი. დიახ ინდოეთი ინგლისისათვის არ არსებობს, როგორც ეკონომიური კოლონია, იგი კოლონიაა მხოლოდ პოლიტიკურის თვალსაზრისით. ჩვენ არ შევჩერდებით სხვა კოლონიალი ქვეყნებზე, ვინაიდან სრულიად საკმარისია ჩავიხედოთ ინდოეთის მდგომარეობაში, რომ ანტანტის სხვა კოლონიებშიაც ანალოგიური მოვლენათა არსებობაში დავრწმუნდეთ. *)

| კოლონიები | 1885—89 წ. წ. | 1890—94 წ. წ. | 1895—99 წ. წ. | 1900—1904 წ. წ. |
|---|---|---|---|---|
| კანადა | 40,1 | 36,1 | 26,7 | 24,5 |
| ავსტრალია | — | 70,5 | 66,5 | 58,6 |
| ახ. ზელანდია | 66,4 | 65,2 | 64,2 | 59,7 |
| ინდოეთი | 78,5 | 72,4 | 68,3 | 65,0 |

(Парвус. Колониальная политика. 148) [illegible]

მართალია, კოლონიების „მომწიფებით" ევროპის კაპიტალიზმს მოხვდა უძლიერესი ლახვარი, მაგრამ ანტანტის მდგომარეობა ომამდე გაცილებით უკეთესი იყო თანამედროვეზე. ევროპის კაპიტალი მაინც ჰპოებდა გამოსავალ გზებს და საშუალებებს ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნებზე: სპარსეთი და ოსმალეთი, მისთვის სათარეშო ფართო ასპარეზს წარმოადგენდა. ინგლისს შეჰქონდა ოსმალეთში თავისი ნაწარმოების 35,05%, გერმანიას—4,22. სპარსეთში საქონლის შეტანა, მაგ. 1910 წ.—1913 წლამდე გადიდდა: **)

ინგლისიდან — 7,9 მილ. მან. 33%-ით
გერმანიიდან — 3,0 „ „ 120 „

ამრიგად „დამოუკიდებელი" სპარსეთი და ოსმალეთი წარმოადგენდა ევროპისათვის ძლიერ სავაჭრო ბაზას. ანტანტის ეკონომიურ ცხოვრებაშიც არ ჰქონია კრიზისებს, დაგროვილ ნაწარმოებთა გაუსაღებლობას ადგილი. იმპორტი მუდამ ნაკლები იყო ექსპორტზე. აი რას გვეუბნება ციფრები ამის შესახებ: ***).

(ნიშანი + აღნიშნავს ექსპორტის გადამეტებას იმპორტზე)

ქვანახშირი,
გერმანია. . . . +246 მილ. მარკით.
ინგლისი. . . „ 823 „ „
შეერთ. შტ. . . „ 205 „ „
თუჯი.
გერმანია. . . . +54 „ „
საფრანგეთი. . „ 76 „ „
მატყლის ნაქსოვი.
საფრანგეთი. . +45 „ „
ინგლისი . . . „ 104 „ „
მანქანები.
გერმანია. . . „ 553 „ „
ინგლისი . . . „ 536 „ „
შეერთ. შტ. . „ 403 „ „

*) საილუსტრაციოთ მოვიყვან შემდეგი ოფიციალი ცნობას: ინგლისის ნაწარმოების შეზიდვა კოლონიებში პროცენტებით გამოიხატება.

**) Глонти Аз. пол. большевиков, 98.

***) Маслов. op. cit. 66—69.

ასეთ სახეს წარმოადგენდა ევროპის კაპიტალიზმის ევოლუციის და მისი საგარეო ვაჭრობის ოქროს ხანა 1913 წლამდე. მაგრამ გაყვანილ იქმნა 1912 წ. სუეცას არხი, გაიხსნა ოტომანიის საიმპერატოროში მიმავალი გზა სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს (განს. შეერთებულ შტ.) და დაიწყო კიდეც ევროპის კაპიტალის ევაკუაცია, ინგლისის ინდუსტრიალი ნაწარმოებების შეტანა ოსმალეთში შემცირდა მთელი 5,05 პროცენტით. ამ გარემოებამ ორი საშუალება დაუსახა ანტანტის კაპიტალიზმს: ან ეკონომიური კრიზისი, რომელიც რევოლუციით უნდა დასრულდეს, ან ომი ბაზრებზე საკუთარ ჰეგემონიის მოპოება—აღდგენისათვის. ბურჟუაზიამ მიმართა ამ უკანასკნელ ღონისძიებას, იფეთქა მსოფლიო ომმა..

კოლონიების ეკონომიურად აღორძინებამ, იმპერიალისტურ ომში დამარცხებამ და ახალი ბაზრების აღმოუჩენლობამ ანტანტის კაპიტალიზმი საბედისწერო მომენტის წინაშე დააყენა. მას დღეს ორგვარი აუცილებლობისადმი უხდება ანგარიში გაუწიოს: ან ხელის აღება კაპიტალისტური წარმოების სისტემაზე, ან წარმოების განვითარების შენელება-შეჩერება. ორივე პირობა არსებითად მიუღებელია ბურჟუაზიისათვის, ვინაიდან ეს მოასწავებელია მისი ბატონობის ლიკვიდაციისა. ბურჟუაზიული ანტანტა ჯიუტობს, იგი აშკარად უარყოფს პირველ ზომას და იძულებულია მიიღოს მეორე საშუალება. ამის ნაყოფს ჩვენ უკვე ვხედავთ: წარმოება ეცემა, უმუშევრობა ძლიერდება ბურჟუაზიულ წრეებში სრული უიმედობა იკიდებს ფეხს. სტატისტიკური მასალები, რომელსაც აქვეყნებენ ევროპის პრესაში, ცხადყოფს კაპიტალიზმის დაშლის პროცესს, ბურჟუაზიის ბატონობის დამხობის შესაძლებლობას ახლო მომავალში. გადავხედოთ საერთაშორისო ვაჭრობის ნუსხას: *)

ინგლისი (მილ. გირ. სტერლინგი)

| წ. წ. | ტრანსპორტი | იანვ. | თებ. | მარტი | აპრ. | მაისი | ივნისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1920 | იმპორტი | 183,3 | 170,4 | 176,6 | 167,1 | 166,4 | 170,5 |
| | ექსპორტი | 131,3 | 108,6 | 130,7 | 126,7 | 139,6 | 136,5 |
| 1921 | იმპორტი | 117 | 96,9 | 93,7 | 89,9 | 86,2 | 88,2 (!) |
| | ექსპორტი | 102,7 | 76,3 | 75,7 | 68,4 | 50,3 | 38,2 (!) |

საფრანგეთი (ათასი ფრანკი)

| წ. წ. | ტრანსპორტი | იანვ. | თებ. | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1920 | იმპორტი | 2495 | 3150 | 3123 | 2888 | 2387 | 12,15 (!) |
| | ექსპორტი | 1010 | 1750 | 1338 | 1377 | 1210 | 5,57 (!) |
| 1921 | იმპორტი | 1982 | 1614 | 1743 | 1779 | 1570 | 1,73 (!) |
| | ექსპორტი | 1883 | 1899 | 1686 | 1932 | 1650 | 1,75 (!) |

*) „Правда" № 256 ნ. ბუხარინის წერილი: „Економические базисы пролетарской революци".

რას გვეუბნება ეს სტატისტიკა ჩვენ? არა იმას, რომ ანტანტა გაკოტრდა ეკონომიურად, დაჰკარგა მან წარსული ძლიერება? კიდევ უფრო საინტერესოა ცნობები წარმოების დაცემის შესახებ.

ნახშირის წარმოება (მილ. ტონი)

| ქვეყ. | წ. წ. | იანვ. | თებ. | მარტი | აპრ. | მაისი | ივნისი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 1920 | 20,5 | — | 10,15 *) | — | 20,14 **) | 11,0 |
| | 1921 | 24,0 | — | 11,5 | — | 16,7 | 8,9 |
| [illegible] | 1920 | 19,16 | 19,44 | 19,5 | ? | ? | ? |
| | 1921 | 18,5 | 17,18 | 17,4 | | | |
| [illegible] | 1920 | — | — | — | — | — | — ***) |
| | 1921 | 2,43 | — | — | — | — | 2,40 |

თუჯის (მილ. ტონი)

| ქვეყ. | წ. წ. | იანვ. | თებ. | მარტი | აპრ. | მაისი | ივნ. | ივლ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | 1920 | 0,67 | 0,65 | 0,70 | 0,67 | 0,74 | — | — |
| | 1921 | 0,64 | 0,46 | 0,39 | 0,06 | 0,014 | 0,014 | 0,0008(!) |
| [illegible] | 1920 | 3,0 | 3,0 | 3,33 | — | 2,99 | ? | ? |
| | 1921 | 2,4 | 1,9 | 1,6 | — | 1,22 | ? | ? |

წარმოების რეგრესს თან სდევს უფრო არა სასიამოვნო შედეგი კაპიტალისტებისათვის, ეს არის უმუშევართა ლეგიონების გამრავლება. წარმოების შეფერხება, ან ზედმეტი ნაწარმოების შექმნა და მისი გაუსაღებლობა, ე. ი. სამრეწველო კრიზისი აუცილებლად მოითხოვს მომუშავეთა ხელფასის შემცირებას, უფრო ხშირად—მუშების დათხოვას. პირველ შემთხვევაში იზრდება მასიური გაფიცვები მუშებისა, მეორეში კი—უმუშევრობა. ამერიკაში, მაგ. ადგილი, აქვს წარმოების ზოგიერთ დარგში, მომუშავეთა ხშირ გაფიცვებს, ინგლისში—პირდაპირ უმუშევრობაა გამეფებული, რომელმაც მიიღო მეტად სერიოზული ხასიათი და იძულებული ჰყო ლოიდ ჯორჯი თემთა პალატაში განეცხადა: უნდა მივმართოთ ყოველივე საშუალებას უმუშევრობის მოსასპობად, უნდა მივიღოთ ზომა უმუშევართა და მათი ოჯახების მდგომარეობის შესამსუბუქებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენს ქვეყანას „ხიფათი" მოელისო. ასეთ ზომად ჯორჯიმ 10 მილ. სტ. ფონდის შექმნა დასახა (!).

მართლაც საყურადღებოა უმუშევრობის განვითარება—გავრცელება ინგლისში ბრიტანეთის ისტორიას არ ახსოვს მსგავსი მოვლენა, უმუშევართა რიცხობრივი ზრდა პროც. გამოიხატება:

| თვე. | 1919 წ. | 1920 წ. | 1921 წ. |
|---|---|---|---|
| იანვარი | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| თებ. | 2,8 | 1,6 | 8,5 |
| მარტი | 2,9 | 1,1 | 10,0 |
| აპრ. | 2,8 | 0,9 | 17,6 |
| მაისი | 2,1 | 1,1 | 22,2 |
| ივნ. | 1,7 | 1,2 | 23,1 *) |
| ივლ. | 2,0 | 1,4 | 16,7 *) |
| აგვ. | 2,2 | 1,6 | 16,8 *) |
| სექტ. | 1,6 | 2,2 | ? **) |
| ოქტ. | 2,6 | 3,3 | ? |
| ნოემ. | 2,8 | 3,7 | ? |
| დეკ. | 3,2 | 6,1 | ? ***) |

*) თებ: და მარტისაა საშუალოდ.

**) აპრილისა და მაისისაა საშუალოდ.

***) 1920 წლის ცნობები არ გვაქვს ჯერ.

ანალოგიური მდგომარეობაა ანტანტის სხვა სახელმწიფოებშიაც საფრანგეთში, მაგ. უმუშევართა რიცხვი 1921 წლის ივლისიდან 1921 წლის აპრილამდე 14,5 % გაიზარდა. დიდხანს გაგრძელდება უმუშევართა მიერ სიმშილ-წყურვილის ატანა? რა თქმა უნდა, არა. ანტანტის კაპიტალიზმმა ორში ერთი უნდა აირჩიოს: ან ასწიოს ძველ დონემდე წარმოება, რომლისთვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა ბაზრების მომარაგება და ახალი საომარ ოპერაციების მოწყობა; ან მუშათა კლასის წინაშე აშკარა დათმობა, წარმოების სისტების ძირითადი რეორგანიზაცია. ბურჟუაზიას არც პირველი საშუალებას შეუძლია თანამედროვე პირობებში მომართოს, არც მეორეს—მით უმეტესად. კაპიტალიზმის შემდეგი განვითარების გზა ყოველმხრივ დახშულია, იგი საბედისწერო ქუჩაბანდისკენ მიემართება..

ეკონომიურ კრიზისთან ერთად ანტანტა განიცდის დიდ პოლიტიკურ კრიზისს, თავი რომ დავანებოთ იმ მოძრაობას, რომელიც ვითარდება კოლონიებში (დამოუკიდებლობის ტენდენცია), ანტანტის პოლიტიკურ ძლიერების იზოლიაციის საუცხოო მაგალითი და აუცილებელი პირობაა ის მდგომარეობა, რომელიც ჩამოყალიბდა ვაშინგტონში და მიექანება ლოღიკურ დასკვნამდე. რა გამოაშკარავდა ვაშინგტონის ბურჟუაზიულ კონფერენციაზე? ანტანტის სახელმწიფოების ინტერესების დიამეტრალი წინააღმდეგობა. საფრანგეთი თავის მოკავშირე—ინგლისის დაუკითხავათ ზავსა კრავს ანგორის მთავრობასთან და არ აქცევს ყურადღებას ინგლისის მუქარას. საფრანგეთი წინააღმდეგია თავისი სამხედრო ძალების შემცირების. ბრიანი მოითხოვს ინგლისის მარიანისტულ სულისკვეთების შეზღუდვას, რაც თავის მხრივ, მიუღებელია ინგლისისათვის. ჯერ არ შეიძლება სიცხადით აღნუსხვა იმ შედეგებისა, რომელსაც მოგვცემს კონფერენციის მუშაობა. მაგრამ ერთი რამ რეალი ფაქტია და ცხადზე უცხადესი: ანტანტის სახელმწიფოებს არ აქვთ საერთო ენა, მსვლელობის საერთო ხაზი, საერთო სურვილი. ეს პოლიტიკური ხასიათის სერიოზული კრიზისია, რომელსაც ანტანტა ძალად დააღწევს თავს, ძნელად მოიცილებს მას.

ასეთია ანტანტის კაპიტალიზმის პოლიტიკო-ეკონომიური მდგომარეობის ზოგადი მონახაზულობა. რევოლუციურ რუსეთის ეკონომიური ბაზისი ვითარდება, ძლიერდება, რეაქციურ ანტანტის—ამლება, ეცემა. რუსეთის მშრომელთა კლასი ჩაბმულია აღმშენებლობითი საქმიანობაში, ანტანტის—ქუჩაქუჩა დაწრეწის, დაწრიალობს. რუსეთს აქვს განვითარების ფართო ასპარეზი, ანტანტა კი—რკინის სალტეებშია მოქცეული.

რას უკარნახებს კაცობრიობას ეს მოვლენა? რას გვეუბნება ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობა? პასუხი ერთია: ანტანტის კაპიტალიზმის აღსასრულს, მსოფლიო რევოლუციის ახლო მომავალს.

გ. მუშიშვილი.

*) ამ რიცხვებში არ შედის: გაფიცული ნახშირ მთხრელები, მქსოველნი, მექანიკოსები და მრ. სხვა.

**) ცნობები ჯერ-ჯერობით არ გვაქვს.

***) „Экономическая жизнь" №255, 1921 წ.

# ნიხრი

დადგენილ. № 108
დანართი:

ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციისა.

| გასაგზავნი კორესპონდენციის სახელწოდება | გადასახადის რაოდენობა მანეთობით. |
|---|---|
| 1. ბანდეროლები: | |
| ადგილობრივი: | |
| ა) ბეჭვდითი ნაწარმოები გარდა კატალოგებისა და პრეისკურანტების და | |
| ბ) საქმის ქაღალდები | ყოველ 30 გრამზე ან მის ნაწილზე 500 მან. |
| სხვაგან გასაგზავნი: | |
| ა) ისეთივე ბანდეროლები | ყოველ 30 გრამზე ან მის ნაწილზე 1,000 მან. |
| ბ) საქონლის ნიმუშები | ყოველ 30 გრ. ან მის ნაწილზე 2,000 მან. |
| შენიშვნა: კატალოგები და პრეისკურანტები იგზავნება როგორც საქონლის ნიმუშები. | |
| 2. დახურული უბრალო წერილები: | |
| ა) ადგილობრივი | ყოველ 15 გრ. ან მის ნაწილზე 1,000 მ. |
| ბ) სხვაგან გასაგზავნი | ყოველ 15 გრ. ან მის ნაწილზე 1,500 „ |
| 3. მისალოცი სადარბაზო ბარათები: | |
| ა) ადგილობრივი და | |
| ბ) სხვაგან გასაგზავნი | წონის ფასი იგივე, როგორც დახურული უბრალო წერილისა. |
| 4. უბრალო ღია წერილები: | |
| ა) ადგილობრივი | 500 მან. პასუხით ორჯერ მეტი. |
| ბ) სხვაგან გასაგზავნი | 1000 მ. პასუხით ორჯერ მეტი. |
| 5. ნაწილობრივ ან სრულიად ფასგადაუხდელი წერილები | იწონის ფასი ერთი ორად მეტი. |
| 6. შეკვეთილი წერილები | წონის ფასი იგივე, რაც უბრალო წერილისათვის, შესაკვეთი კი 3.500 მ. |
| 7. ფასიანი წერილები: | |
| ა) ადგილობრივი | წონის ფასი იგივე, როგორც ადგილობრივ უბრალო წერილისა, დასაზღვევი ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე 50 მან. |
| ბ) სხვაგან გასაგზავნი | წონის ფასი იგივე, როგორც სხვაგან გასაგზავნი უბრალო წერილისა, დასაზღვევი კი ყოველ 1000 მანეთზე ან მის ნაწილზე 50 მ. |
| 8. ფულიანი წერილები: | |
| ა) ადგილობრივი | წონის ფასი ყოველ 15 გრ. ან მის ნაწილზე 1000 მან. დასაზღვევი—ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე—100 მ. |
| ბ) სხვაგან გასაგზავნი. | წონის ფასი ყოველ 15 გრამზე ან მის ნაწილზე—1500 მ., დასაზღვევი—ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე 200 მ. |
| შენიშვნა: თითო ფულიან წერილში დაშვებულია გადაიგზავნოს არა უმეტეს 100.000 მანეთისა. | |
| 9. ფულის ბარათები | ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე 50 მან. |
| შენიშვნა: ერთი ბლანკით შეიძლება გაიგზავნოს 500.000 მან. მხოლოდ სახაზინო დაწესებულებებისათვის გასაგზავნი თანხა განუსაზღვრელია. | |
| 10. გაგზავნილის მიღების შეტყობინება: | |
| ა) ადგილობრივი კორრესპონდენციის | 1000 მან. |
| ბ) სხვაგან გასაგზავნი | 1500 მან. |
| 11. გაგზავნილ კორრ. მოძებნა, შეჩერება, დაბრუნება, მისამართის გამოცვლის განცხადება: | |
| ა) ადგილობრივი კორრესპონდენციის | თვითეულ განაგზავნზე 2000 მან. |
| ბ) სხვაგან გასაგზავნი | თვითეულ განაგზავნზე 3000 მ. |
| 12. სააბონენტო უჯრებით სარგებლობა | ქ. ტფილისში და ბათუმში 1 უჯრა 20.000 მ. ქუთაისში და ფოთში 15,000 მ. დანარჩენ ადგილებში 10,000 მ. |
| 13. ყოველგვარ კორრ. მისალები ბილეთები | ყველგან 10.000 მან. |
| 14. შელავათიან კორრესპონდენციაში კერძო ხასიათის მიმოწერის აღმოჩენა | თვითეულ გადასაგზავნზე დამნაშავეთ გადახდეთ წონის ფასი სამჯერ მეტი ჩვეულებრივი წერილისა და მიეცეს პასუხისგებაში, როგორც ბოროტმოქმედების ჩადენისათვის სამსახურში. |
| 15. ჟურნალ-გაზეთების გასაგზავნი. | რედაქციებს გადახდეს 20% გაზეთ-ჟურნალის თვიური ღირებულებისა (თვითო ნომერზე ცალკე). |
| შენიშვნა: მთავრობის მიერ გამოცემული ოფიციალური ჟურნალი „მოამბე“ მიიღება გასაგზავნად უფასოდ. | |
| 16. ამანათები: | |
| ა) უფასო | საქართველოს ტერიტორიის ყველა მანძილზე 2 გირ.-დე 3000 მან.; 2-დან 7-დე 6000 მ.; 7-დან 12 გირ.-დე 10000 მ.; 12 გირ. ზევით თითო გირვანქაზედ 1000 მ. |
| ბ) ფასიანი | წონის ფასი რაც უფასო ამანათისათვის დასაზღვევი, როგორც ფასიანი წერილისათვის ე. ი. ყოველ 1000 მ. ან მის ნაწილზე 50 მ. |
| 17. პლომბის ან ლუქის ბეჭდის დასმა | ამანათზე ლუქის ბეჭდის დასმისათვის ან პლომბის დადებისთვის 500 მ. წერილების დალუქვისათვის 500 მ. |
| 18. ამანათების შენახვა. | ერთი დღე და ღამე 5000 მ: |
| შენიშვნა: ამანათის შესანახად დაწესებული ფასი გადახდებათ მიმღებთ სამი დღისა და ღამის შემდეგ უწყების ჩაბარებისა, თუ ის ქალაქის ან სოფლის ფარგლებში სცხოვრობს ანგარიშში არ მიიღება უწყების ჩაბარების დღის მომდევნო დიდი-უქმე დღე, როდესაც საფოსტო ოპერაციების წარმოება შეჩერებულია, იმ შემთხვევაში, თუ ამანათის მიმღები ქალაქ გარედ სცხოვრობს, სადაც უწყებას თვით ფოსტა არ აბარებს, შესანახი ქირა გადაჰხდებათ მიმღებთ ორი კვირის შემდეგ, დღიდან ამანათის დაწესებულებაში მოსვლის. | |
| 19. ფასდადებული კორრესპონდენცია | ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე 50 მ. |
| 20. ტელეგრამები: | |
| ა) ადგილობრივი | სიტყვა 1000 მ. |
| ბ) სხვაგან გადასაცემი | საქართველოს ტერიტორიაზე სიტყვა 2000 მ., სომხეთთან, აზერბეიჯანთან და მთიელთა რესპუბლიკასთან—3000 მ., რუსეთთან—5000 მ. |
| გ) სასწრაფო დეპეშა | ერთი სამად მეტი ვიდრე უბრალო დეპეშისათვის. |
| დ) უბრალო დეპეშის გადაცემა შემოწმებით | ფასი ერთი ორად მეტი ვიდრე უბრალო დეპეშისათვის. |
| ე) სასწრაფო დეპეშის გადაცემა შემოწმებით | ფასი ერთი ოთხად მეტი ვიდრე უბრალო დეპეშისათვის. |
| ვ) რამდენიმე მისამართიანი დეპეშა | ყოველ 50 სიტყვაზე ან მის ნაწილზე 5000 მანეთი. მისამართების რაოდენობის მიხედვით. პირველი მისამართი ანგარიშში არ ჩაითვლება. |
| ზ) დეპეშების მიღების შეტყობინება ტელეგრაფით | ათ სიტყვიანი უბრალო ან სასწრაფო დეპეშის ფასი. |
| თ) დეპეშის ტელეფონით გადაცემა | სიტყვა 500 მ. |
| ი) სააგენტო დეპეშები | სიტყვა ჩვეულებრივისა 2000 მ., ცირკულიარისა 5000 მ. |
| კ) ფულის ბარათი დეპეშით. | გარდა საფოსტო ხარჯებისა 500.000 მ., ოც სიტყვიანი დეპეშის ფასი—ზევით 25 სიტყვიანი დეპეშის ფასი. |
| ლ) დეპეშებს, რომელსაც გზავნის ადგილობრივი ბანკი, მისი განყოფილება, ხაზინა და ყოველივე საკრედიტო დაწესებულებანი მესამე პირთათვის, ფულის ან რაიმე ფასეულობის გაცემისათვის | სიტყვების მიხედვით სასწრაფო დეპეშის ფასი. |
| მ) შიკრიკით დეპეშის გზავნა ტელეგრაფის სადგურის გარეშე | თვითეულ ვერსზე 5000 მ. |
| ნ) პირობითი ან შემოკლებული მისამართით სარგებლობა. | კერძო პირთათვის 50,000 მ., საბჭოთა დაწესებულება თავისუფალია ამ გადასახადისაგან. |
| ო) შეჩერება ან დაბრუნება გადაუცემელ დეპეშისა გამგზავნელის განცხადების თანახმად | თუ დეპეშა სრულებით არ გადაცემულა, გამგზავნელს დაუბრუნდეს მისი საფასური ერთი მეოთხედის გამოკლებით. სასწრაფო დეპეშებისათვისაც დაექვიროს ისე, როგორც უბრალო დეპეშისათვის. თუ დეპეშა აპარატით გადაცემულია, მისი შეჩერებისათვის გამგზავნელს გადახდეს სასამსახურო დეპეშის ფასი და პირვანდელი დეპეშის ფასი არ დაუბრუნდეს. |
| 21. კერძოთ დამზადებული ბლანკები: | |
| საფულისბარათო | 500 მან. |
| შიმდევნო მისამართი | 500 მ. |
| იგივე ფას-დადებით | 1000 მ. |
| ღია წერილები | 250 მ. |
| იგივე პასუხით | 500 მ. |
| მიღების შესატყობინებელი ბლანკი | 250 მ. |

შენიშვნა: საბჭოთა დაწესებულებებს სასამსახურო ხასიათის დეპეშის გადახდებათ ერთი მეოთხედი ჩვეულებრივი ღირებულებისა.

საქ. სოც. საბ. რესპ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე ბ. მდივანი.
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.
ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი ა. ყამარაული.
1921 წ. დეკემბრის 5. ტფილისი—სასახლე.

## ცოტა რამ მუშათა ფაკულტეტზე

ფრიად, შემზარავი სიტყვაა ეს, ყველა მუშისათვის. რაც ბევრს გავჩუმდებით, იმდენათ ბევრათ ცუდათ წავა მუშათა საქმე, ჩვენ მუშებმა გავიარეთ მენშევიკური ბატონობის ხანა, როდესაც ჩვენთვის არაფერი არ კეთდებოდა. ეხლა მენშევიკური ხანა უკვე ისტორიულ არქივს ჩავაბარეთ. დღეს საქართველოში საბჭოთა სისტემაა—ეს არის პროლეტარიატის დიქტატურა. მუშური ბატონობა, მაგრამ, დღესაც ბევრათ თუ ცოტათ ცუდათ ძიდის მუშათა განვითარების საქმე. დიახ სწავლა და განათლება, აი რა არის მუშებისათვის საჭირო. ჩვენ ვიცით, რომ განათლების სახალხო კომისარიატმა გახსნა მუშათა ფაკულტეტი. კეთილი და პატიოსანი! მაგრამ ერთი რამ უნდა აღვნიშნოთ: ამ ფაკულტეტზე დაიარებიან ყველა ეროვნების მუშები. ალბათ თვით განათლების კომისარიატს ეცოდინება, რამდენი მუშა არის, რომელმაც რუსული ენა არ იცის და მას უხდება გამოცდაზე მოსვლა, მერე იქიდან უკან გაბრუნება. აი ასეთ ფაქტებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს დღევანდელ მომენტში. შეიძლება სთქვას განათლების კომისარიატმა, რომ ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონიაო. აი თქვენ ფაქტი; გამოცდაზე ფაკულტეტზე, ჩამოვიდა პროვინციელი ამხანაგი არა ერთი ორი, მრავალი. მას როდესაც დაუწყეს გამოცდა და გამოჩნდა, რომ ამ პროვინციელმა ამხანაგმა არ იცოდა სრულიათ რუსული ენა, მაშინ იცით რა გახუცხადე: „Мы не можем вас принять потаму, что, вы по русскй не понимаете хорошо“ აი ეს სიტყვები რას ნიშნავს? ეს პირდაპირ არ ვიცით რას მივაწეროთ. მაშასადამე ასე სჩანს, თუ რუსული გესმის გვასწავლიან, თუ არ გესმის არა. რამდენი ქართველი მუშები, რომელთაც თავიანთ სამშობლოს ენის მეტი არ იციან, არ უსწავლიათ და ეხლა, როგორ უნდა ისწავლონ რუსულ ენაზე? კი იყო, რომ ამაღლადევდნენ, გინდა თუ არა უნდა ისწავლოთ, ეხლა ისწორედ ისეთი ფაქტები მეორდება, რომელიც ჩვენთვის სასარგებლო არ არის. საჭიროა განათლების კომისარიატმა და თვით მთავრობამ გახსნას ასეთი კურსები, მხოლოდ ჯგუფად, ქართველებს ცალკე, რუსებს ცალკე და სხვებსაც ცალკე, თუ მადლსა შვრებიან, მასწავლებლიც მოაყარონ. გამეორებით ის, რაც ჩვენთვის საჭიროა. თუ არ ეცოდა განათლების კომისარიატი იცოდეს, რომ ერთი ჯგუფი ქართველ მუშებისა, უკმაყოფილონი არიან. დეე მოგვეცეს საშუალება, რომ მოვისმინოთ ჩვენ სამშობლოს ენაზე. ლექციები.

ქართველი მსმენელი მუშა ივ. ბერიკაცაშვილი.

## ფოსტელთა შორის

შაბათს, ქრისტიშობის 3, ფოსტა-ტელეგრაფის, ტელეფონის და რადიოსადგურის მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ განყოფილების ხელმძღვანელობით ამავე კავშირის მუშათა კლუბში, რომელიც მოთავსებულია მელიქ-აზარიანცის შენობაში, გაიმართა საღამო, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა ქვეთხე რაიონის სტუდია. ხალხი საშუალოზე მეტი დაესწრო. გარდა ადგილობრივი მუშა-მოსამსახურეებისა, იყვნენ გარეშენიც. მოსალოდნელი იყო მეტი საზოგადოების დასწრება, მაგრამ უნათლობამ (ხშირათ ქრებოდა) ბევრი უკანვე გააბრუნა.

საღამო სრულ 8 საათზე დაიწყო. დასდგეს ორი სხვა და სხვა კომიკური პიესები რუსულ ენაზე, რომელიც უნდა გულახდილათ ითქვას, რომ მეტად უშინაარსო იყო. აგრეთვე აღსანიშნავია მოთამაშეთა სისუსტეც (ალბათ ეხლა სწავლობენ), რომელმაც დამსწრე საზოგადოებაში ჩიჩქოლი გამოიწვია.

შესვენ მოქმედებაში იმღერეს ახალგაზრდა მომღერლებმა. აღსანიშნავია ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურე ამხ. სვანიძე, რომელმაც მეტათ ლამაზათ შეასრულა ქართული სიმღერები, რამაც საზოგადოებაში მხურვალე ოვაციები გამოიწვია.

დასასრულს გაიმართა ცეკვა, როგორც ევროპიული აგრეთვე აზიურიც, რომელიც დასრულდა სრულ 12 საათზე, ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ამავე კავშირს აქვს საკუთარი ორკესტრი და თეატრის დარბაზი, რასაც დღეს დიდი მნიშვნელობა აქვს, მხოლოდ საჭიროა მისი გამოყენება, რომ მუშათა კლასს კვირაში ერთხელ შაბათობით საშუალება ქონდეს თეატრში სიარულისა.

ერთი სიტყვით, ფოს.-ტელეგრაფის კულტურულ განყოფილება მადლობის ღირსია, მხოლოდ საჭიროა, რომ შემდეგ შაბათობით დაიდგას ისეთი პიესები, რომელიც დღევანდელ მომენტს შეეფერება და რასაკვირველია ქართულათაც, რადგანაც დამსწრე საზოგადოების უმრავლესობა ყოველთვის ქართველობას შე ცავს.

ჩვენ სრულ იმედს გამოვსთქვამთ, რომ ფოსტა-ტელეგრაფის გამგეობა მუყაითათ შეუდგება კულტურულ მუშაობას ჩვენს დაწესებულებაში და ამით მისცემს საშუალებას მუშათა კლასს განვითარებისას.

გ. ლ.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.